კვირა, 10 აპრილი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 12 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типография Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

რა მოგილოცოთ?!

რა მოგილოცოთ, არ ვიცი:
ქრისტეს აღდგომა დიადი,
თუ ის, რომ აღსდგა იუდა
და მასთან ერთად წყვდიადი?

მე პირველს მოგილოცავდით,
რომ ეს შემეძლოს, გულითა,
რომ არ ვაჭრობდეს იუდა
კვლავ სინიდისით, სულითა,

რომ ის ვერცხლს, ამ გზით აღებულს,
ისევ არ აჩხრიალებდეს
და ჩარხი, ჩვენი ცხოვრების,
უკუღმა არ ტრიალებდეს!

ნ. ზომლეთელი.

ა ღ დ გ ო მ ა

ჩუ! დაჰკრეს ზარი,
ხმა საოცარი
გაისმა შორს, იქ, გოლგოთის მთაზე,—
მდუმარედ მდგარი
შეირყა ჯვარი,
სიცოცხლის გრძნობა გაკრთა მიწაზე.

—

გულის საკლავი
სამარე შავი
უმანკო მსხვერპლის,—სიომ დაჰკოცნა,
შორს, გადამთიდან,
აღმოსავლიდან
დილის ცისკარმა სალამი სტყორცნა.

—

შეირხა ლოდი...
სულის აკორდი
ფიქრთა სავანეს ზედ აესახა,
უკუნეთ წყვდიადს
უხეშს და ზვიადს
სხივის ისარი მყის გაემახა.

—

„აღსდგაო ღმერთი!“
და ჯოჯოხეთი
ჩაჰკრა, ჩაქოლდა ამ ხმის სმენითა;
სიმართლის მცნება,
სიცოცხლის ენება,
ცად შესრიალდა აღმაფრენითა.

—

„რაო?.. ახ, ვინა?“
ამოიგვინა
მრისხანე ღმერთმა ბოროტებისა,
რისხვით დაგრგვინა...
მაგრამ მის წინა
ტაძარი აღსდგა უკვდავებისა!..

დარიჩ ახვლედიანი.

დაწყევლილი ხე.

ეს ის ხე იყო, რომელზედაც იუდამ თავი ჩამოიხრჩო

— გაუმარჯოს იუდას!

— რას მიჰქარავ!—ზუზუნით შემეკითხა მძიმე და დინჯი დედამიწა:—გაუმარჯოს იმ იუდას, რომელმაც გასცა ქრისტე, მოციქული, მეუფე, ზეკაცი, რომელმაც იგი გაჰყიდა ოცდაათ ვერცხლად?

— დიაღ! ვეუბნები მე:—გაუმარჯოს იუდას, რომელიც კიდევ იმდენად პატიოსანი აღმოჩნდა, რომ მონახა:

— დაწყევლილი ხე.

და თავი ჩამოიღრჩო ზედ ..

იუდას იმდენი სინიდისი კიდევ შერჩა, რომ მის ქენჯნას ვეღარ გაუძლო და მონახა სამუდამო ბინა:

— დაწყევლილი ხე!

გიკვირთ, განა? ბავშვი ყოფილხართ!

ნუ თუ თქვენ ვერ ამჩნევთ თქვენს შორის პაწაწკინა იუდუშკებს, რომელნიც ოცდაათ კაპეიკზედაც კი არ დაგინდობენ და გაგყიდიან, თუ მოახერხეს?

ბრმანი ყოფილხართ! გააჩილეთ თვალები: მიდით სატუსაღოებში, ნახეთ იქ მყოფნი, და თუ მათ შორის მრავლად ჰპოვოთ თქვენი გულის სწორი, მეგობარი, ამხანაგი, შვილი ან ქმარი და ძმანი,—მაშინ ფეხ-შიშველნი წადით გოლგოთის მთაზე,

ინახულეთ ის ჯვარი, რომელზედაც იესო გააკრეს, ინახულეთ ის ვერხვი — დაწყევლილი ხე, რომელზე დაც იუდამ, იესოს გამყიდველმა, თავი ჩამოიხრჩო, და თაყვანი ეცით ორივეს!

პირველს იმიტომ, რომ მისი მაგალითით მან აღადგინა თქვენში კაცი, უმაღლესი ღვთიური არსება, რომელსაც სინიდისი გაეღვიძა;

ხოლო მეორეს იმიტომ, რომ მისმა შეცოდებამ, ოცდაათ ვერცხლად მოსყიდულმა, თქვენ ვერცხლისადმი ზიზღის გრძნობა გაგიღვიძათ, დაგანახვათ უფსკრული და გამოგაკეთილშობილათ; იმიტომ, რომ მან გასწავლათ თქვენ, თუ სად იმყოფება:

— დაწყევლილი ხე!

რომელზედაც ჩვენ შეგვიძლიან — თავი ჩამოვიხრჩოთ, როდესაც სინიდისი ქენჯნას დაგვიწყებს...

მაგრამ ბევრნი იქნებიან ჩვენ შორის თვალხილულნი, რომ დაგვინახოთ ეს:—

— წყეული ხე?

ვეჭვობ, არა მგონია!

და თუ იუდამ თავის მაგალითით შესძლო ეჩვენებინა გზა კეთილისა და ბოროტისა, სილამაზისა და სიმახინჯისა, — მუხლი მოვიყაროთ მის წინაშე და შევღაღადოთ:

— გიხაროდენ, იუდა, რამეთუ შენ შესძელ გესწავლებინა ჩვენთვის ჭეშმარიტების ნათესაყუდელი!

— გაუმარჯოს გამცემელ იუდას, რომელმაც ჩვენ შეგვაზიზღა გამცემლობა.

— ქრისტე აღსდგა!

და გრწამდეთ ხალხის ზნეობრივად აღდგომა და აღორძინებაც!

საჯახელი.

საღდგომო ვიზიტები.

(დიდ-შაბათ ღამის სიზმარი).

წინად, ამ საუკუნის დასაწყისში, საღდგომო და საახალწლო ვიზიტებზე ჩამოვლა მიხდებოდა ჩემის საყვარელ, — აწ უკვე განსვენებულ, — რაშით.

ეს იყო ამ ექვსი-შვიდიოდე წლის წინად, როდესაც ჰაეროპლანებზე, მონოპლანებზე, ბიპლანებზე და კიდევ სხვა „პლანებზე“ მხოლოდ პროექტების თხზვა და ლაპარაკი შეიძლებოდა.

მაგრამ ახლა, როდესაც ადამიანი საუკეთესო იორღა ცხენს აღარც კი კადრულობს, როდესაც ავტომობილებით „მუტაკია“ გლეხსაც ველარ ვაკვირვებთ, როდესაც მწყერსა და ღალღას მიმინოქორები კი ალარ იჭერენ, არამედ ორფეხა ადამიანები თავის ჰაერსაფრენ „პლანებით“, — ახლა ძველებურად რაშით ვიზიტებზე სიარულს, — და ისიც საღდგომოდ, — რომ გამიმტყუნებდა ჩემი საყვარელი მკითხველი, ეს მე ძალიან კარგად ვიცოდი.

ამიტომ, ვითარცა შეეფერება ნამდვილს პროგრესისტს, მეც გამოვიწერე ერთი ჰაეროპლანი, წამოვასკუპე ზედ მის ცხვირზე დაოსტატებული მაშინისტი და მოვეუსვი ვიზიტებზე ჩემს მტრებთანა და მეგობრებთან, ორგულებთანა და ერთგულებთან.

რასაკვირველია, თან ბლომად წითელი კვერცხები — ზოგი კარგი, ბევრი ლაყე — და ერთი კარგი ცოცხიც წავიღე.

— ყოველ შემთხვევისათვის!

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი განსვენებული რაში, რომელიც წინა წლებში დამაქროლებდა საღდგომო ვიზიტებზე, ამ ახალ გამოგონებულ ჰაერის მანქანას სიმალეში ბევრათ არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ხოლო თუ მისი გარდაცვლის მიზეზს იკითხავთ, ჩემი რაში გარდაიცვალა ბოღმისა და გულის გახეთქისაგან, რაიცა გამოიწვია მის ალაგას ჰაერსაფრენების გამრავლებამ და ამით მისი ფასის დაცემამ.

მაშ ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ვიზიტების აღწერას, რომელიც დიდ შაბათ ღამის სიზმარი იყო, და არა სინამდვილე.

ჩემი პირველი ვიზიტი იყო, — აბა, ვისთან იქნებოდა, მკითხველო, თუ გამოიცნობ?

რასაკვირველია, შენთან, მკითხველო! შენზე უკეთესი პატივსაცემი მწერალს სხვა ვინ ეყოლება?

დიახ, მოხდა საკვირველება და ჩემი ჰაეროპლანი პირველად გაჩნდა ერთსა და იმავე დროს **ყველა** ჩემს მკითხველებთან.

ჯერ, როგორც წესია, „ქრისტე აღსდგა“-თი მოგესალმეთ, მერე სათითაოდ ყველა თქვენგანს თითო კარგი წითელი კვერცხი მივულოცე, ვუსურვე ისე გამრავლება, როგორც მრავლდებიან ჩვენში „სანაგვე პოეტები“ და მერე თითით ვანიშნე ჩემს მაშინისტს, რომელიც ჰაეროპლანის პროპელლერზე იჯდა:

— აბა, მივდივართ, მოემზადე-მეთქი!

— კარგიო, — მითხრა მემანქანემ: — მაგრამ ეს კარგი კვერცხები რაცა გქონდათ, ხუთიოდეს მეტი თითქმის სულ დააროგე და სხვებს ყველას ხომ ლაყე კვერცხებს არ მიულოცავო? უხერხულიაო!

ხმა, „ერინტი მეთქი! — განვრისხდი მემანქანის წენიშვნაზე.

ხომ მოგეხსენებათ, რაც უნდა იყოს, მისი:

— ხატეინი ვარ!

გავსწორდი ჩემს ჰაეროპლანზე და ერთის წუთის განმავლობაში თავი ამოვყავ ქალაქის თვითმართველობაში, ანუ როგორც მე ვეძახი:

— ხატისოვეთში!

აქ თავი მოეყარათ სხვადასხვა ტომისა და კლასის წარმომადგენელ „ღლასნებსა“ და „სოღლასნებს“ და გაცხარებითა ბეჭობდნენ. მე რომ მივფრინდი, კამათი უკვე გახურებული იყო და კარგა ხანს ვერაფერი გავიგე. კანტი-ყუნტად მესმოდა სიტყვები:

— პატიოსანი მუშაკი! უანგარო საზოგადო მოღვაწეობა! თავაუღებელი მშრომელი და სხვა, სულ ამისთანა, მარგალიტები.

— ქვეყნიერ საკითხეშეი ოვსულვარ-მეთქი! — წამოვიძახე.

— ცოტა დაიცადე, ნუ ჩქარობო, — მომაძახა ჩემმა მემანქანემ, რომელსაც ჰაეროპლანი საბეოს ქახდარაზე აეყვანა.

კიდევ დავტუქსე ჩემი მემანქანე ამ შენიშვნისათვის და შემდეგ სმენად გადავიქეცი.

გამოირკვა, რომ განთავისუფლებულიყო გამგეობის წევრის ადგილი და კაცს არჩევდნენ —

მშრომელსა და ბატიოსანს,
„უანგარო“ მოღვაწესა,
ოთხი ათას ქანქარს ყანც რომ
მოუარის ეოველ წელსა!

ამისთანა „უანგარობამ“ სწორედ ძალიან გამაკვირვა.

— კაცო-და, ოთხი ათასი ქანქარი ხომ ვიცი გუბერნატორის ჯამაგირია. კარგი უანგარობაა! მაგნაირი ჯამაგირის მონა-მსახური ყველა იპატიოსნებს! — სთქვა ვიღამაც ჩემს მეზობლად.

ახლა კი მივხვდი, რომ ჩემი მემანქანე უბრალოდ დავტუქსე.

ქალაქის მამინაცვლებმა ეს ტერმინი მათთვის უფრო შესაფერად მიმაჩნია, ვიდრე „მამები“, — აირჩიეს გამგეობის წევრის ზანდუკზე დასაჯდომად, — იმ ზანდუკზე, რომელშიაც ოთხი ათასი ქანქარის საზოგადო ფლაკია ყოველი წლის განმავლობაში, ესე იგი ოთხ წელიწადში 16,000 ქანქარისა, — „უანგარო მოღვაწე“ გათუმიდან.

„უთავო ქალაქ ხატისოვეთის თავმა ალ.ივ. ხატისოვმა ხმა მაღლაგამოაცხადა:

— ჩვენს ამხანაგად არჩეულია გიორგი ჟურულიო.

მე ყურები ვაცქვიტე. ეს სახელი და გვარი კარგად გამეგონა ახლო წარსულში, სულ რაღაც ათიოდე წელიწადი იქნება მას შემდეგ.

აწ უკვე ნეტარ-განსვენებულს ჟურნალ „მოამბე“-ში იბეჭდებოდა რომელიღაც ლექსი ვაჟა-ფშაველასი. ახლა ყველა „სანაგვე პოეტმაც“ კი იცის, რომ ლექსი — რითმათა წყობაა, ურითმო ლექსი — ლექსი არაა.

ჰო-და მას ჟამსა შინა ხატისოვეთის გამგეობის ახალი წევრი გიორგი ფურმიშანიჩი ქართულ ენისა და ლიტერატურის ქირურგად (pardon — ცენზორად) იყო მოწვეული. და უსამართლობა იქნებოდა არ აღვნიშნოთ, რომ ღირს შესანიშნავი ქირურგი იყო! 16—17 ყმაწვილს, მას აქეთ დღემდე კიდევ გონებიდან ვერ ამომ ღია, რომ ქართულ ლიტერატურის მაშინდელმა ქირურგმა ვაჟას ლექსის „წამლობის“ ღრეს, მეტის მეტად თავი იჩინა: მეორე სტრიქონის სიტყვა იყო, „ფაფარი“ (ზეპირად ჩამებეჭდა გონებაში) და მეოთხე სტრიქონში კი ლიტერატურის ქირურგმა წითელ მელნიანი ნესტარი გაჭკარა რითმის თანხმოვან სიტყვას. „ჩაფარი“

ბნი დიმიდე კილაძე რომ შეეკითხა, ასეთი უმანკო სიტყვის ამოშლა რად ინებეთო, ამგვარი პასუხი მიიღო:

— ჩვენ უკეთ გვესმის რომელი სიტყვა „უმანკოა“ და რომელი არაო. ჩაფარი — მეაფრობის კაცია და მისი შეურეფერებლად ხსენება დასათმობი არაო!

ამ სიტყვის ალაგი, მეტი რა გზა იყო, ისევ მრავალმნიშვნელოვანმა წერტილებმა დაიჭირა...

ბაგრამ შორს წავედით დღეს ისიცა კმარა, რომ ეს „წერტილების მქმნელი“ ახლა „უანგარო მუშაკი“ და „თავ-აუღებელი მშრომელია“.

— კარგია მაინც ასეთი პროგრესიული ცვლილება მეთქი, — ვინ-უგეშე თავი და ის იყო უნდა მოვსაუბებოდი ჩემს ჰაეროპლანს, რომ ქალაქის მამები ახალ საგანზე გადავიდნენ.

უფრო სინტერესოზე:

— საჭიროა თუ არა, რომ ხატისოვეთის თავს მატარებლის ვაგონები გაძოვაბათ და „უანგაროდ“ გავისტუმროთ პეტერბურგს, რომ იქ ჩვენი ქალაქი „ვაბაპატიოსნოსო“.

ან კიდევ თავისი მომჯადოვებელის სიტყვით პ. ა. სტოლიპინი მოხიბლოს და თავი დაბაპატიებინოს:

— ერთ ქიქა ჩაიზეთ!

(ასე პურა-ძეირი გახლავთ ჩვენი პრემიერი!).

თან ქალაქის მამები გაცხარებით კამათობდნენ, რომ უანგარო საზოგადო მოღვაწეს ქალაქ „ხატისოვეთისას“ დღე-ღამეში მიეცეს მხოლოდ 20 ქანქარი, გზაში ჯიბის ჭუჭყად, რომ პიტერში ხელის მობანის მიზეზი ჰქონდესო. კინაღამ ჩხუბიც მოუვიდათ, ორი თვე ვამლითოთ ეს ქანქარი თუ ერთიო

მაგრამ ჩხუბისგან იხსნა ისინი ისევ „თავმა“.

— ჩემის აზრით, საკმაოა თვე ნახევარიო,— მორცხვადა სთქვა ხატისოვმა

ესე იგი, იქით-აქეთ პირველი კლასის გზის ფულსა და შვიდას მანათამდე თვიურ ჯამაგის გარდა, ამ თვე-ნახევარში 1125 მანათიც მეყოფაო.

ეს კი, დღე-ღამეში ერთად შეკეცილი, 60 მანათს გადასცილდება ესე იგი საათში — $2\frac{1}{2}$ მანათამდე, მიუხედავად იმისა, სძინავს ხატისოვს თუ ამთქნარებს, მუშაობს თუ სიტყვას ამბობს!

კაი პირობაა „უანგარო“ მოღვაწეობისათვის მაგ პირობებში ყველას შეუძლიან პატიოსნად იცხოვროს და შრომის უნარი გამოიჩინოს!

ეს ისეთი თანხაა, რომ ქალაქის მთავარი ბუჰლალტერი ს. დანდუროვი დიდხანს ეწვალა, მარა მისი ბუჰგალტერია ვერ გაიგო.

— დამაცათ, შევისწავლი ბუჰლალტერიას (შენი მტერია!) ქალაქის ხარჯზე და მაშინ ვიანგარიშებო.

ჩემი დაყოვნება ამისთანა „უანგარო“ საზოგადო მოღვაწეთა ბანაკში აღარ შეიძლებოდა, დრო საშური იყო. ამიტომ ვუბრძანე ჩემს მეჰანქანეს საჩქაროდ მოეწოდებინა ჩემთვის საჰიოდე ლაყე კვერცხი.

— ბატონო, აქ დიდი ტუზებია, არავის ეს როლოთ, თორემ დავილუპებითო,—მითხრა მემანქანემ.

რჩევა დამიჯდა და ამიტომ მიზანში აღარ ვისროლე. ისევ ვარჩიე ქიმიური ობსტრუქცია გამეკეთებინა და საბჭოს დარბაზის თითო კუთხეში თითო ლაყე კვერცხი გადავისროლე, რომ ამითი იძულებული გამეხადა დაშლილიყო ,,უანგარო მოღვაწეთა“ კრება.

ორი კვერცხი მშვიდობიანად გასქდა და ისე გამოყარა დარბაზიდან ,,მოღვაწე‘‘ ხმოსნები, როგორც ქრისტემ ერთ დროს საყდრიდან მოვაჭრენი.

მაგრამ ჩემს უბედობაზე, მესამე კვერცი ზომიერად გადასროლილი ვერ მომიხდა: ერთს კუთხეში თურმე ცნობილი ,,კაპიტან-ოტ-ვპეჩატლენიი‘‘ კოტე ტყავაძე მჯდარიყო, ღუმის „ვპეჩატლენიების“ მოსაკრებად, და ეს ლაყე კვერცხი იმას მოხვდა ლაყე სახეში!

ისედაც მუდამ ტალახით გათითხნილი სახე მთლად გაეთითხნა კაპიტანს და სასოწარკვეთილმა ერთბაშად წამოიძახა:

— რაზვოდიაშჩი!

საწყალს ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ისედაც სუსტი გონება მთლად დაუკარგა, თავისი თავი პოლკში წარმოიდგინა და იმიტომ დაუძახა სალდათს ამან ყველას დაავიწყა „ობსტრუქცია“ და საერთო სიცილი ჩამოვარდა.

— საბრალო, ჭკუაზე შეიშალა!—სთქვა ვიღამაც ჩემს მეზობლად, რომელიც წასვლას ეჩქარებოდა.

— ჭკუაზე მხოლოდ ისინი შეცდებიან, ვისაც იგი მოეპოვება. კაპიტანს კი ფიქრი არა აქვს, რაც არა ჰქონია, იმას როგორ-ღა დაჰკარგავს! თუ დაჰკარგა, ისევ ,,თავის ვპეჩატლენიებს“ დაჰკარგავს, რაც ადრე და მალე იყო დასაკარგი მისი პატრონისათვის! —უპასუხა მას ჩემმა მეორე მეზობელმა.

ალბად, ეს უკანასკნელი ახლო მცოდნე იყო კაპიტანის ავლა-დიდებისა...

ყოველ შემთხვევაში, მე მსწრაფლ მოვახტი ჩემს ჰაეროპლანს და გამოვიქეცი.

რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ „ზაკავკ. რეჩი“-ს რედაქციაში შესვლას ველარ გავბედავდი: ვაი თუ იქ სამხედრო წესები გამოეცხადებინა „ვპეჩატლენიის“ კაპიტანს და სასტიკად დავესაჯე!

ამიტომ გვერდი ავუქციე, და მყისვე ჩემი ჰაეროპლანი გაჩერდა „ახალი საქმის“ რედაქციის წინ.

მშვენიერი ბავშვია ახალი საქმე, მაგრამ, ბავშვობის მიუხედავად,—ჯერ მხოლოდ ერთის თვისაა,—ფრიად ბრძენია და სიმპატიური.

მივულოცე ღთრძინება, დღეგრძელობა ვუსურვე, ერთი კარგი წითელი კვერცხი ჩავუდე ქორფა ხელში და საჩქაროდ უკან გამოვფრინდი.

— არავინ დამინახოს მასთან ახლოს, არ დამაბეზღოს ვისთანაც „ჯერ არს“ და მეც მის მრავალ წინაპრებს უკან არ გამადევნონ-მეთქი.

ხომ მოგეხსენებათ, სამხედრო წესებია და, არამც თუ მე, სამი წლით ალექსანდროვის ბაღიც კი იყო გადასახლებული არხანგელის გუბერნიაში!

— მთელი ბაღი!

და მე რაღას მომერიდებოდნენ?

„ახალი საქმიდან“ „ზაკავკაზიეს“ რედაქციაში მინდოდა შემევლო, მაგრამ ბრწყინვალე თავად აზნაურობის დანახვამ ძალზედ დააფრთხო ჩემი მემანქანე და მთხოვა გზა ამექცია.

წერა-კითხვის საზოგადოების სადგომთან აუაბელი ხალხს მოეყარა თავი.

ვიკითხე მიზეზე.

გამოირკვა, რომ მრავალრიცხოვანი წევრები საზოგადოებისა პროტესტს უცხადებდნენ გამგეობას: საზოგადო კრება და ანგარიშების წარმოდგენა უნდა ხდებოდეს ყოველ წელიწადში ერთხელო, და თქვენ კი ყოველ თვეში საზოგადო კრებაზე გვიწვევთ და მოსვენებას არ გვაძლევთო. სამართლიანი პროტესტია: არც ასეთი გულმოდგინეობა შეიძლება!

დრამატიულ საზოგადოების სადგომში ერთი კი შევიჭყიტე, მაგრამ საინტერესო ვერაფერი ვნახე, თუ არ ჩავთვლით რამდენსამე ვირთაგვას, რომელნიც საზოგადოების საფულე ზანდუკში რაღაც შენობას აშენებდნენ და ერთი ხრაგა-ხრუგი გაჰქონდათ.

„ცხოვრება და ხელოვნების“ რედაქციას სამგლოვიარო ბაირაღი აემართა კარებზე:

— გარდაცვალების ნიშნად!

ამიტომ იქ აღარ შევჩერებულვარ და პირდაპირ „სახალხო გაზეთს“ მივაშურე.

შევედი რედაქციაში, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, ვერაფერი მოვახერხე. ადრე რომ მომესაზრა ასე იქნებოდა, ფეხს არ შევდგამდი, მაგრამ ახლა რა?

,,ავს არ მაკადრიანო,
კარგს არ მადირსიანო'',

ამბობს ქართული ბრძნული ანდაზა; მეც აგრე: კარგი ვერაფერი ვუთხარი იმ გაზეთის რედაქციას, რომელმაც თავის თანამოძმე ,,თემს''—გაზეთს მეტად პირუთვნელსა და პატიოსანს,—ადრე სიკვდილი უსურვა, დღეგრძელობის წილ!

სწორედ ისე, როგორც ბევრი ღენერლის ახალგაზდა ცოლი უსურვებს ხოლმე მის „ხრენ“ ქმარს ადრე და მალე წარსდგეს „წიაღსა შინა, სადაცა მართალნი განისვენებენ“.

გაშტერებულნი შევყურებდით მე და რედაქციის წევრნი ერთმანეთს.

— რა გნებავთო?—მკითხეს.

— სააღდგომო ლექსი მოგიტანეთ-მეთქი,—ვიცრუე:—თუ გონორარს სტრიქონზე შაურს მომცემთ მეთქი!..

— უფასოც ბევრი გვაქვსო და ძალიან კარგებიცაო. მითხრეს და, ღმერთმა უშველოსთ, გამომიყვანეს უხერხულ მდგომარეობიდან.

გამოვეცალე საჩქაროდ და გავსწიე ბულვარისაკენ. გზაში კინტოჲ ნაზი იის კონა მომაწოდა, შაურიანი გადავუგდე, გამოვართვი და გავსწიე. სახაზინო თეატრთან შევნიშნე ჩვენი ჭაღარა მგოსანი აკაკი.

— წითელი კვერცხი, ნაზი ია, ქრისტე აღდგა და დღეგრძელობა-მეთქი, მივაძახე, ვესროლე იის კონა და გავეჩქარე „თემის“ რედაქციაში.

რედაქტორს „ქრისტე აღდგა“ მივულოცე, ვუსურვე ერთა აღორძინებისათვის სამსახური, ერთი საღი წითელი კვერცხი მივთავაზე და გამოვეშურე

იქვე გზად პატივცემული ეშმაკი შემეხეჩა. „ვიჯმნი ეშმაკისაგან-მეთქი“, ვსთქვი, ორსავე მხარზე გადავიფურთხე და მინდოდა გამექროლებინა ჰაეროპლანი, მაგრამ ეშმაკმა დამიგო „ეშმაკის მახე“ და შიგ გავიხლართე ჩემის ჰაეროპლანითა და მემანქანით!

— სიავკაცე შენიო,—მითხრა,—გზად შემხვდი და გვერდს მიხვევდიო ამ ქრისტეს აღდგომის დღესაო.

გავვოცდი, გავნცვიფრდი...

— კაცო-და, შენ ხომ ეშმაკი ხარ, შენი რაღა ქრისტეს აღდგომაა-მეთქი?

— ქრისტე ჭკვიანი კაცი იყოო,—მითხრა:—და თუ თუმცა ეშმაკი ვარ, მართალია, მაგრამ ჭკვიან და პატიოსან კაცის პატივისცემა არც ჩვენ ეშმაკებს გვაწყენსო.

მიამა ეშმაკისაგან ასეთი სიტყვები, მაგრამ ძალიან გულით კი მინდოდა ადრე გავცლოდი: ხომ იცით, სასტიკი მწველი და გესლიანი ენა აქვს და ვშიშობდი, არაფერი შემამჩნიოს და „მახეში“ არ გამომჭიმოს მეთქი.

დაკვირვებულმა ეშმაკმა თვალი მოჰკრა ცოცხს ჩემს ჰაეროპლანზე.

— რად გინდაო,—მკითხა.

— ყოველ შემთხვევისთვის წამოვიღე-მეთქი.

— არა გცოდნია მოხმარა, უქმად რას გიდევსო,—მისაყვედურა:—გიორგიევის ქუჩაზე ჩაუხვიე, „ცოდნას“ წიგნის მაღაზიაში შეიხედე, იქნება იქ ნახო გასაცოცხავი ვინმეო.

ჭკუაში დამიჯდა. მოვაბრუნე ჰაეროპლანი და ვეწვიე სოსიკო მერკვილაძეს.

„ცოდნაში“ საშინელი მყრალი სუნი იდგა, არ ვიცი, რა ამყრალებულიყო: თვითონ სოსიკო, მისი ენა-საუბარი, თუ წიგნების თაღებში შიმშილით ჩამკვდარი თაგვი (სოსიკო მერკვილაძე მუქთად მტვერსაც კი არ შეაშმეეს თაგვს!).

ჩემს მემანქანეს გული კინაღამ შეუღონდა მძიმე სუნისაგან, მაგრამ ცხვირი აიკრა ცხვირსახოცით, მოუსვა ხელი ცოცხს და და გამოცოცხა „ცოდნიდან“ მისი პატრონი, რომელიც ვიღაც გულუბრყვილოს არწმუნებდა აკაკის ერთგულობასა და პატივისცემაში, აქებდა მას, როგორც ქართველთა პუშკინს, და სხვ.

არც ისე უმადური ყოფილა სოსიკო: ახლა, როცა აკაკის აღარაფერი შეარჩინა სულით ხორცამდე, და გაძარცვა, ცარიელ სიტყვით მაინც აქებს შორიდან, ისე, როგორც წინად მთელი ტყავი და ქონი შეაცალა ახლოდან.

„არც არას მომცემ და კიდევაცა მცემ", — ეს ეს ხომ სულ უარესი იქნებოდა!

დავტოვეთ იქ ლაფეთებული სოსიკო და ჩემმა ჰაეროპლანმა ერთ წამს მეტეხის ციხეში ამომაყოფინა თავი, ყარაულების თანხლებით კი, არა ჩემის ნებით.

აღდგომის სტუმარს თავაზიანად დამიხვდნენ, კარები გამიღეს.

— Ба, знакомыя все лица! შეჰყვირა ჩემმა მემანქანემ, რომელმაც არი იქნა და თავისი მეტიჩარობა ვერ მოიშალა.

მართლაც, ვინ გინდათ, რომ აქ არა ნახოთ: ყველა ჯურისა და მიმართულების ხალხს აქ მოუყრია (უნებურად, რასაკვირველია!) თავი. ჩვენი პოლიო, რომელსაც „სალამურის" სააღდგომო მოთხრობა უნდა დაემზადებინა, არსენიძე და ივანე გომართელი, ადამაშვილი და აგლაძე, რომელნიც ლამის ჩამობერდნენ მეტეხში, და მრავალი სხვანი, სულ აქ შეყრილან და, მე მგონი, ციხეში აპირებენ გაზეთის გამოცემას.

პრაქტიკული აზრია: სტამბა იქვე აქვთ, ასოთამწყობნი—ბლომად და საუკეთესონი ჰყავნან, სარედაქციო ბინა—უფასო აქვთ, და თუ გაზეთში რამე „მარცხი" მოუვიდათ, ციხეში ხომ სხედან და სხედან, ხელ-ახლათ მაინც აღარ დაიჭერენ.

წითელი კვერცხი ადმინისტრაციამ არ შემატანინა, საშიში ფერია და არ შეიძლება, თუ გინდა, ყვითლად გადაღებეო,—მითხრეს, და ამიტომ ხელცარიელი შევედი ნაცნობ ტუსაღებთან, „ქრისტე აღდგას" მილოცვა კი მოვასწარი და დაიძახეს:

— კონჩაიტე დოპუსკიო!

გასაცოცხი ბევრი იყო მეტეხში, მარა ცოცხს იქ ვინ შეგატანინებდა! გულდაწყვეტილი გამოვედი და ერთს წუთს ჩემი ჰაეროპლანი თელავში გაჩნდა.

— ამბავი ხაბარი მეთქი, — ვკითხე თელავის თავს თათუზოვს.

— ინჩაო?—იკითხა: აქ სომხების ქალაქია, ქართული ლაპარაკი არ შეიძლებაო

ენაზე ვიკბინე... მომაგონდა, რომ თელავში ქალაქის ხმოსნებად სულ სომხები აირჩიეს და ქართველები კი სულ გააყორნეს.

და რადგან გაგონილი მქონდა, რა სოფელშიაც მიხვიდე, იმ სოფლის ქუდიო, ხოლო მე კი თელავური ქუდი არ მეხურა, საჩქაროდ გავცილდი თელავის მიდამოს და ის იყო, ჰაეროპლანით უნდა გამეწია სიღნაღისაკენ, რომ კახეთის რკინის-გზის ორთქლ-მავალის ხმა გავიგონე.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ჰაეროპლანი მაშინვე მატარებელზე მოვათავსე და მოვისურვე მენახა დიდყურა ცხოველთა ქალაქი „კახური" რკინის გზით. მაგრამ, საუბედუროდ, კონდუქტორმა გამაფრთხილა, რომ გზა სიღნაღამდე არ არის ჯერ გაყვანილი; ამიტომ იძულებული გავხდი ისევ ჩემი ჰაეროპლანისთვის მიმემართნა და რამდენსამე წუთს უკვე ტფილისში მოვფრინდი.

დაღლილ-დაქანცულმა მივაღწიე გოლოვინის პროსპექტამდე. ლალიძის ქარხნის წინ, ბულვარზე, ერთი მეგობარი შემხვდა და გახურებულ გულზე სასიამოვნო გამაგრილებელი წყალი შემომთავაზა. შემდეგ მკითხა, საით მიეჩქარებიო.

— ქუთაისის გუბერნიისაკენ სააღდგომო ვიზიტებზე მეთქი.

— იქით ახალი არაფერია ახლა და არც შენის ვიზიტებისათვის სცხელა ვისმეო; მირჩია, ხელი აეღო ამ განზრახვაზე.

თუმცა ძალიან გულით კი მინდოდა ქუთაისის გუბერნიაში ვიზიტებზე დავლა, მაგრამ რადგან დაღლილიც ვიყავი და მეგობარმაც აღარ მირჩია, დავანებე თავი ჩემს განზრახვას.

ნააღდგომებს იყოს, თუ კიდევ მესიზმრა რამე.

ამ ჟამად კი ეს ვიკმაროთ, ჩემო მკითხველო, და ღმერთმა ჰქნას, რომ საახალწლოთ მე და შენ ახალი, უკეთესი ვიზიტები გვქონოდეს, ისეთი, რომ არც ლაჟე კვერცხი, არც ცოცხი და არც მკვახე სიტყვა საჭირო აღარ ყოფილიყოს...

სიზმარი გათავდა, აღდგომა გათენდა.

ქრისტე აღსდგა, მკითხველო!

ქუჩუ.





ქრისტიანების წამება ძველს დროში

მოგელი!

გოლგოთის მაღალ მთაზედა,
წვერიო ღრუბლამდე აწვდილის,
სამი ჯვარი სდგას, და ჯვრებზე
გვამები სამის დასჯილის.

ორი მათგანი, ხის ჯვრებზე
იქით აქეთ რომ ჰკიდია,
ავაზაკები არიან,
იმათი ცოდვა დიდია:

ძარცვა-გლეჯა და წამება
ყოველად მართალი კაცისა,—
აი, ნამდვილი სურათი
იმათი სიმამაცისა!

გზა ჯვარედინზე ხვდებოდენ,
გულს უტარებდენ მახვილსა,
სიცოცხლეს არ შეარჩენდენ
დარბეულს, ნამუს-ახდილსა.

ბოლოს შეიპყრეს ისინიც,
დასაჯეს ჯვარზე წამებით,
თუმც ამით ავაზაკთ მსხვერპლებს
წყლულნი არ დაეამებით.

იმ ავაზაკთა მტვირთველი,
აი, აქ ორი ჯვარია!
მათ შუა ჯვარზე გაკრული
თვით ქრისტე მაცხოვარია.

ვინ მოხდა ესე შეცდომა?
ოჰ, ბევრნაირათ გვიხსნიან,
მაგრამ თვით ცოდვის ჩამდენნი
თავს ეხლა რით-ღა იხსნიან!!

ასე მოვევლე ოცნებით
წარსულის შავ-ბნელ ღამესა
და მუნ ვერაფერს ეხედავდი,
წყლულ გულის დასაამესა.

აწმყოში გადმოვატარე
ჩემის ოცნების მერანი,
მინდოდა, ისევ აქ მაინც
დამეცხრო გულის ძგერანი.

შევხედე... ისევ გოლგოთა!
ზედ ჯვრები! ჯვრებზე ვნებულნი,
მრავლზე მრავალნი არიან
არიგებ-ჩარიგებულნი.

ყოველ ჯვრის ზემოთ ფიცარსა,
ვხედავ მე, ზედანაკერებს;
გულის ფანცქალით ვკითხულობ
მე ამ ფიცრებზე წარწერებს:

— „აქ გაკრულ ია ერთობა!
აქ – სიყვარული! აქ – ძმობა! —
ასე ლალ დებს ნაწერი,
ეს უტყუარი მოწმობა.

. მე ავაზაკებს დავეძებ,
ნაწერი სულ სხვას ღაღადებს,
და, მართლაც, გულის წყლულზედა
მალამოს ვინღა დამადებს?!.

ახ, მაცხოვარი ხომ აღსდგა,
მაშ, სიყვარულიც აღსდგება!
და კაცთა შორის ძმობისა
ნანატრი ხანა დადგება!..

და...ველი მეც იმ დიად დღეს,
მოველი მკვდრეთით აღდგომას,
როს გაასწორებს საჯეროთ
მერმისი – აწმყოს შეცდომას.

ნ. ზომლეთელი.

მწუხრის ჰანგზე.

(სილუეტები)

ძღვნად F. ჩხიკვაძეს და პავლე იაშვილს

II

ფსალმუნი.

მდინარეთ პირას ვისხედით და ვგლოვობდით ჩვენს ლტოლვილ ბედნიერებას. თავზე ნაცარი გვეყარა, ზეცას სწვდებოდა ჩვენი გოდება, მხოლოდ წყეული ბედისწერა ძაძებში გამოხვეულთაც არ გვასვენებდა და საგალობელს ითხოვდა ჩვენგან. ყრუ იყო ადონაის, საუკუნო ყურებს სმენა დახშოდათ, უდაბნოს ქვიშას ალბობდა ჩვენი ცრემლები, მაგრამ დახშული იყვენ ბჭენი შებრალებისა.

— ვერა, ვერ გიმღერთ სამხიარულოს, შესწყდა, გულს ჩაჰკვდა ჰანგი სალხენი; სასას აეკვას წყეული ენა, თუ დავივიწყოთ ჩვენ ეს ნაღველი, საფლავით აღსდგეს შურის-ძიება, თუ შენ გიმღეროთ ჩვენ სიონის საგალობელი.

მდინარეთ პირას ვისხედით და დავტიროდით ჩვენ ლტოლვილ ბედნიერებას და გვირგვინ მოხსნილ სიწმიდეს. .

III.

სიცრუე.

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო დედაკაცისა, და იყო სიტყვა იგი – სიცრუე.

— ვაი მათ, ვინც მას მიენდენ.

სტიროდეთ მათთვის, ვინცა სტირიან, სტიროდეთ მათთვის, ვისაც საუკუნეთ გადაქცევიათ შემოდგომის ღამეები.

— სტიროდეთ მათთვის, ვისაც ქალის წიაღში ბედნიერებას მიაგნო ჰგონია, რადგან მისი გული სფინქსთა უდაბნოშია ჩაფლული და ვერავინ ამოიკითხავს შიგ ჩაწერილ სტრიქონებს; შემოქმედმა მასში ჩამალა იდუმალება შემოქმედებისა.

— ადამიანის ცრემლისაგან ოკეანე დადგება.

— ადამიანის ტანჯვით გოლგოთა შეიქმნება, მაგრამ არ შეირხევა არც ერთი ნაკვთი სფინქსისა.

პირველათ იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო დედაკაცისა, და იყო სიტყვა იგი – სიცრუე.

ელოდეთ მას, ის კვლავ გამოცხადდება!

IV.

ანაკრეონული ხოხო.

თენდება, თენდება. დაბნელდა მთვარე, ვარსკვლავებს უხმობს არ ყოფნის ღამე; ვაი მათ, ვინაც რომ მწუხარ ღამეს გამოიღვიძეს, ცრემლი დაღვარეს! თენდება, ტუჩები კოცნას ეძებენ, სული სულს უხმობს, სატრფო—მეგობარს, იშვებდეთ, ხალხნო, აღარ შურთ ღმერთებს, რომ ლხენა ერგოთ ადამიანებს.

— იყავ ბურანში, ნუ გაიღვიძებ, მოსწყდი სამყაროს, მოსწყდი ჟამის ფრთებს, მთვრალი იყავი: სული იყუჩებს, ზეცა ბანს ეტყვის შვების სიმღერებს! ეძებდეთ კუნძულს, ბედისგან აღთქმულს, იქ

მეფედ არის თავდავიწყება.. იყავი მთვრალი, რომ არას გრძნობდე,—ეს არის ყოფნის ბედნიერება .. თენდება, თენდება. დაბნელდა მთვარე, ვარსკვლავებს უხმობს არ ყოფნის ღამე; ვაი მათ, ვინაც რომ მწუხარ ღამეს, გამოიღვიძეს, ცრემლი დაღვარეს.

V.

პირველი სიყვარული.

მახსოვს მე ჟამი ბედნიერების. ეს ის ჟამი იყო, როცა ადამიანს ყველაფერი სჯერა. ის ვერ მისწვდება ცხოვრების ტანჯვით გამოწვეულ მწუხარებას, ვისაც ეს ჟამი არ ახსოვს, და ჩემში კი იმნაირი სული ბუდობს, რომ მზადა ვარ მწუხარებაშიაც ვეძიო სილამაზე; ან რა გასაკვირია: აკი მანფრედი, ალპების მთებზე შავ-ფიქრებით გარემოცული, ამბობდა: „სევდავ, შენა ხარ ჩემი სატრფოო“!

ის ჟამი იყო, როცა ადამიანს სიყვარული სწამს და აჩრდილებით ავსებს ქვეყანას. ანგელოსის სახით მე დემონი მეჩურჩულებოდა; მეც ყურს ვუგდებდი, რადგან არ შეშეძლო არ მესმინა: რაღაც იდუმალი, რაღაც მომხიბლავი ისმოდა იმ—ხმაში ის ცათ მიხმობდა, ცათ მეძახოდა, ფრთები რომ მჭონოდა, თან გავყვებოდი არ-ყოფნის მოცაქულს. ამ დროს ის ჩემთან იყო. იდუმალ გზნებით გამსჭვალული ყურს ვუგდებდით ნაკადის ტკბილ რაკრაკს და მისი ლიკლიკა ტალღები გვამცნობდა გულის საიდუმლოს, იცოდა, რომ ჩემს გულში ქარტეხილი დანავარდობდა და, თუ ვსდუმდი, მისთვის, რომ ის ჩემთვის ყველაფერი იყო! მე ვუამბობდი მას ზღაპრებს, ცხოვრების ზღაპრებს, მდელოს მშვენიერებაზე, შემოქმედის სიდიადეზე. მოჩუხჩუხე რუ უგდებდა ყურს ჩემგან ნაამბობს, სევდის მანტიაში გამოხვეული; ვით საფლავით ლტოლვილი აჩრდილის სული, თავს გვევლებოდა მთვარე და მკრთალ სხივებში გვახვევდა.

ხმა კანკალებდა, თრთოდა; მე ჩემს გულთან ვიგრძენი მისი სუნთქვა,—უკვდავების ნანათ, მარადისობის სიმღერად მეჩვენებოდა მე მისი სუნთქვა, სულს აღტყინებდა მის კულულთა სუნნელება და მთვარე იყო მოწამე, თუ ვით დაარღვია მორცხვმა კოცნამ ღამის დუმილი. ეს იყო პირველი სიყვარული... ის იყო პირველი კოცნა, მას მეორე არ მოჰყოლია,—ვით-ბინდი, იდუმალი ბინდი იმ ღამისა, გაჰქრა ის გრძნობა; მხოლოდ მგოსანი შემოდგომის ღამეებში, ჟამსა სევდისას, ისევ იგონებს და ცრემლებს აწვიმებს ეს მოგონება. სევდის ავგაროზში გაეხვია სული, მწუხარედ გოდებს, მოწყენით არის მიდამო, სად განვიცადე პირველი გრძნობა, და სულის დემონი, ავი სატანა, რომელიც ერთხელ აღთქმის ქვეყანას მპირდებოდა,—ყორნის ფრთებით არ-ყოფნის მხარისკაენ მიაქროლებს სულს ..

VI.

ზარნაშო.

Въ гробницѣ Калигулы
заплакала сова.
Д. Мережковскій.

მიყვარს მე გაზაფხურის ღამე, როცა ყველას სძინავს, როცა ცათ მყუდროებაა, მიწათ-სიჩუმე, და დუმილი კაეშნიანად გალობს სევდიან ჰანგებს, თითქო მარტოობა და ღამის ნისლი შეითქენო,—მდუმარედ სდგანან მაღალი ჩაყვითლებული ნაძვები, ქაანობენ, თითქო წაქცევას ლამობენ, არავის ესმის მათი ლოცვა, მათთვის ყრუა ცა. ტბაზე დაუხრიათ დალალები ტირიფებს და, როგორც მიჯნური, მიმკრთალებული ჰკოცნის ლიკლიკა ზვირთებს. ფიქრი ფიქრს აეკიდება, ოცნება ძიხმობს, ოცნება მეძახის.

რა ბედნიერებაა, რა შეედრება მას! მე ვარ მეფე სიზმრებისა, ვიცი, არც ერთი მათგანი არ ასრულდება, ვიცი ტყუილია ყველა მათგანი ისე, ვით სიცრუე იყო ფიცი დედაკაცისა, მაგრამ დეე, ასე იყოს: მე მიყვარს ის, რასაც მაშინ ვგრძნობ, დეე, ნუ ასრულდება, მე მაინც გამოვსტაცე ჟამს ბედნიერი წამები... ოხ! ღმერთო, რა კარგია ზაფხულის საღამო, რა სიჩუმეა, მაგრამ მე მარტო ვარ, არავინ ინდომა ჩემთან ყოფნა, ამაოდ ვაფიცებდი: „დარჩი, ნუ მიხვალ-მეთქი“,—მან არ ისმინა. სულსა ჰკლავს მარტოობა.

..ჩუ, ჩემამდი ზარნაშოს სევდიანმა მოთქმამ მოაღწია!

ოჰ, როგორ სტირის საცოდავი ღამის იდუმალებაში!

— ვერ ვიპოვეო,—ნაცნობია ჩემთვის ეს ხმა.

„ვერ ვიპოვეო,“.—მე კი ვიპოვე?

რით განვირჩევით ჩვენ ერთმანეთისაგან? მხოლოდ მითი, რომ მას არ შეუძლიან ჩემსავით იტანჯოს,—საბრალო, ის მაშინვე მოკვდებოდა.

რით განვირჩევით ჩვენ ერთმანეთისგან?

მითი, რომ ხვალ ის ჩემს საფლავზე ჩამოიძახებს: „ვერ იპოვეო“.

და ჩემი ძვლები დუმილით უპასუხებენ.

VII.

ტრიუმფი.

ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა. უკვდავი ღამე სდარაჯობს მას, უკვდავი ღამე, ქუროში დანაშაულისა, და საყვარელი საუკუნეების.

— ვინ დაითვალოს მსხვერპლი?

— რამ დაიტიოს ცრემლი?

ადამიანთა ძვლებით მოიფინება ხეობა, საფლავში შეძრწუნდება ტორკვემადა,—უჩვეულო სანახაობით გაკვირვებული!

ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა. ის, ვით გრიგალი, ყველაფერს აღგვის, არ-ყოფნის ღამეში განიავდება ადამიანისაგან შექმნილი ბედნიერება.

— ის არის კიბო არსებობისა.

— ის არის ჯალათი არსებობისა.

— ის არის მეუფე ყოფნის ძლიერი ტალღებისა.

გიხაროდენ თქვენ, ვინც, ვითარცა საქორწინო სარეცელს, ელტვოდით კუბოს; გიხაროდენ თქვენ, ვინც აფიცებდით სიკვდილს მოსვლასა.

ახლოა ჟამი, როს არ-ყოფნის მოციქული მოგისობთ ფრთებს, როს არ-ყოფნის ღამეში გაჰქრება თქვენი ცხოვრების ჩირაღდანი ცეცხლის ეტლით მოჰქრის დემონი სიკვდილისა, მისი გზა ჩვენის ძვლებით არის ნაფენი.

მეფეთ-მეფენო, ყოველის დროის და ყოველ ჟამისა! ძრწოდეთ, რადგან არ იქნება არც ერთი ბრძოლა, სადაც ის არ გამოვიდეს გამარჯვებული, სად მას არ დარჩეს დროშა გამარჯვებისა...

ტ. ტაბიძე.

დედის გული.

(ნორშანდიული ბალლადა, თავისუფალი თარგმანი რუსულით).

ვუძღვნი დარიას.

სადღაც, ოდესღაც, ამ პლანეტაზე,
სცხოვრობდა ვინმე ადამისშვილი;
ბედს ემდუროდა, ბოროტს, მის მდევნელს,
ვერსად ეშოვნა მყუდრო ადგილი...

ერთხელ სადღაც იმისი გული
მოაჯადოვა ტურფა ასულმა.
ვნებით აღიგზნო ყმაწვილი კაცი,
თრთოლვა დაუწყო გულმა და სულმა...

მაგრამ დიაცმა მიჯნურობის წილ
მწარედ დასცინა მის მაღმერთებელს...
მასხრად იღებდა, და იმავე დროს
მის წინ სხვა ჰაბუკთ უღერებდა ყელს!

ერთხელ მიჰმართა და ასე უთხრა:
„მსურს გამოვცადო მე შენი გული,
„მართლა გაქვს ჩემი შენ სიყვარული,
„ნამდვილ იქნები ჩემი ერთგული,—

„თუ თავს მაჩვენებ შეყვარებულად,
„გსურს მოტყუებით დამიგო? მახე?
„შენს სიყვარულში გამოსაცდელად
„ეს საშვალება მე გამოვნახე:

„თუ გინდა ტრფობა შენი მე მრწამდეს,—
„დედა-შენს გული ამოაცალე,
„შამფურზე შესწვი, მოხრაკე კარგათ,—
„ჩემს ძაღლს მოართვი ვახშმად... ჰა, მალე“!..

უგუნურმა ძმე, ტრფობით დამთვრალმა,
ხელში აიღო ბასრი ხანჯალი,
და მშობელს დედას,—მკრეხელმა,—გულში
ჩასცა, რაც ჰქონდა ღონე და ძალი!..

სისხლით შეღება დედის ის მკერდი,
რომელმაც იმას ძუძუ აწოვა;
რომელიც თვის ძეს გულში იკრავდა,
იგივ სიცოცხლეს გამოათხოვა!..

მყისვე გასწია მან მიჯნურისკენ,
თან მშობლის მიაქვს შემწვარი გული...
მიუხარიან, რომ ვახშამი აქვს
სატრფოს ძაღლისთვის მომზადებული!..

ჰფიქრობს: ვაამებ ჩემს სულის ღმერთას,
აწ აღვასრულე მისი სურვილი;
სამაგიეროს მომიწყავს, მეტყვის:
„აჰა, მოიკალ ტრფობის წყურვილი“!..

მიჰქრის, მიჰფრინავს დედის ჯალათი,
გარშემო სულაც არ იხედება;
არ ერიდება კლდეს, არც მდინარეს,
თუმც, მოქანცული, ოფლად იღვრება...

უცბად წამოჰკრა მან დიდ ქვას ფეხი,
ვერ შეიმაგრა თავი, წაიქცა.
საწყალს ეკლებიც მრავლად ჩაერჭო..
გულს შეეულონდა და გადაიქცა..

—ვაიმე, დედავ! მიშველეთ, წყალი! —
აღმოხდა ყმაწვილს გულშეწუხებულს.
მაგრამ ვინ იყო ახლოს მშველელი,
დაჰხმარებოდა იმ გაჭირვებულს?

ვერ მოითმინა ეს დედის გულმა,
ძაღლის სავახშოდ გამზადებულმა,
წამოგებულმა რკინის შამფურზე, —
შვილის შობის დროს ტანჯულ გვემულმა, —

და უგუნურმა, უმადურმა ძემ,
ვისც დედის გული მკვდარი ეგონა,
უცბათ თვის მშო ლის ალეოსიანი,
თანაგრძნეული ხმა გაიგონა:

—„შენ შემოგეკლოს შენი დედაი,
„შვილო, წამოდეგ, მითხარი მალე:
„მაგრად დაეცი? სისხლი გადმოგდის!..
„ძლიერ გეტკინა, შენ გენაცვალე“?

დ. ჯაში.

6 ივლისი 1910 წ.
ქ. ტფილისი.

ცხოვრება რუსეთის მოხარკისა.

(წარმოდგენა 5 უსიამოვნებად, გადმოღებული ვლადიმერ ბოგორიანისგან).

პროლოგი.

ფილიც მუნდირიანი.

ეჰეი, კაბიკონეთ თქვენ, მოსულნო აქ ნებართველთა მოაგრობისათა! ეხლავე თქვენს წინაშე კაიგლის ცხოვრება რუსეთის მოხარკისა, მისის უსიამოვნო დასაწყისითა და სიძაგლის დასასრულით. მხედველობისა ქვეშე ბოლიტიკისა კაიგლის ცხოვრება რუსეთის მოხარკისა, და თანხმად რკინა-ფოლადისაებრ მაკარის კაძღიერებულ დაცვისა და სამხედრო წესების დებულებისა, დუელის დაგლურს მთავრობის წინაგანზარახულებათა გუნებისად.

დაბადება რუსეთის მოხარკისა.

— აი, დაიბადა კიდევ ერთი რუსეთის მოხარკე.
— ეჭვი არაა, უთუოდ ვაჟი იქნება.
— მე მინდა, რომ ეგ ინჟენერი გამოვიდეს.
— ინჟენერებს ხშირად სიცვენ.
— შენშიკოვები ხშირად ბეზდებენ ინჟენერებს.
— უმჯობესი იქნება, ისევ დიდი გაზეთის რედაქტორი გამოვიდეს.
— რედაქტორებს ხშირად ჭეზანიან ვერის ბანაში.
— რატომ იბადება, ნეტა, რუსეთის მოსარკე? ნუ თუ ვერა ჭეძნობს, რომ ტფილისსა და მის მაზრაში სამხედრო წესები ჯერ კიდევ არ გაუქმებულა და საკანგებოდ გურიისათვის ხომ ისევ აბირებენ მის ხელახლა შემოღებას?
— იგი ვერაფერსაც ვერა ჭეძნობს.
— და როდესაც წამოიზრდება, მაშინ მოჭე�ებ ხოლმე წუწუნს: „ახ, დედაჩემო,—იტყვის,—რისთვის მშობეო“!
— ნეტა ნაბოქულარი მაქაბშვილიც დედამ ჭეშობა?
— რასაკვირველია.
— ახეფიცა?
— რა თქმა უნდა.
— სასაკვირველია, დმერთმანი!..
— იქნება ეგ ვაჟი ბელეტრისტიც კამოვიდეს.
— მხოლოდ ბორნოგრაფი კი კი ნუ გამოვა...
— მაგრამ ეს კი ეჭვს კარეშეა, რომ გაზეთ „სინათლეში“ თანამშრომლობას დაიწყებს.
— მხოლოდ სამის პირობით: 1) თუ საკმაო სასტრაქონო კაპეიკები იშოვნა, 2) თუ „პოვეტობის“ უტეუარი ნიჭი დეტეო, და 3) თუ 14 წლამდე იცოცხლა.
— თითქოს „სინათლეში“ 12 წლის ბავშვები კი არ თანამშრომლობდენ!!
— მგონი, ეს—ექიმი მოვიდა.
— არა, ეს—მოვიდა უბნის ზედამხედველი: განაბებული თვინჯრები რომ დაინახა, ადბილ, ნებადაერთველი კრება ეგონა.
— ვინ იცის, იქნება ადგომა საჩუქრებისათვისაც მოვიდაო.
— არა მგონია: ეხლა პოდიტმეისტერმა სასტიკად აკრძალა ადგომის დღეებში საჩუქრების მიღება.
— მაშ ნაადგომევს, საქმის დღეებში მიიღონო?
— ეგეც აკრძალული უნდა იყოს... კარგად არ ვიცი...
— მგონი, დაიკივლა ჩვენმა მშობიარემ, არა?
— არა, ეს ქუჩაში ებრაელმა შეჭკივლა.
— განა ებრაელებს კიდევა სტეშენ?
— დიდ. ებრაელებმა ისევ გამოიწვიეს საღხის ადმეთოთეა...
— რამდენი ხანია საწუალი ჩვენი მშობიარე იტანჯება.

— ბავშვის შობა ისე ადვილი როდია, როგორც ალექსანდრე ხატისოფის „რეჩების“ თქმა და ქალაქის მამების საპუნიციპალო კანონ-პროექტების შობა!

— მგონი, ეხლა კი ნამდვილად ექიმი მოვიდა.

— არა, ეს — სეკუნდანტი მოვიდა.

— როგორ, განა ვისმე შეურაცხეოფა მიაეენეს? ვინა?

— არა, მაგრამ ისე მოვიდა, ეოველ შემთხვევისათვის.

— გესმით, რა საშინელი ბრალგვანი და ტემის ხმაა: ეს ეოეოდ ხეროები იქნებიან — ალბად, კავკასიის უნაეერსიტეტს და აშენებენ.

— არა, ეს ჩვენი ბრწყინვალე თავად-აზნაურობაა, რომელიც გულზე ხელს იბრაგუნებს და ტანჯულ საშობლისა და საუცხოო საქართველოსადმი სიყვარულზე ფიცსა სდების.

— მაშ თავიანთ მიწა-მამულების უცხო ტომის ხალხზე რადგან ეიდიან!..

— ეროი უეურეთ, რა აუარებელი ბრბო მოდის: ალბად უმუშევრად დარჩენილთა პროცესია იქნება.

— არა, ეს არის პროცესია იმ უკმაყოფილოთა, რომელთაც ქართულ თეატრში ქართულ წარმოდგენებზე ბილეთები ვერ უშოვნიათ. ეს ეოველდღე აკრე სდება.

— ნეტავი ქართულ თეატრსა და მის მუშაკთ!

(მოისმის მშობიარის კივილი).

— როგორც იქნა, შეკე

— ბოლიტიკის როდი მოსწონს, როცა ინტელიგენტები ფეიხაკურ შრომის ეწევიან: შეიძლება დამაჯერონ და გადამასახლონ.

— მაშ რა ვქნათ, სამშიდით დაეხოტნეთ? სულ აგრე ხომ არ ვიქნებით?

— ოო, არა, ჩვენ კიდევ დავამარცხებთ! მე ხომ ახალგაზდა ვარ, ძალ-დონით სავსე, განათლებული, მგონი—ნიჭიერიც.

— შენ—ძალიერი ნიჭის ბატრონი ხარ!

— ჭო, აი, ხომ ხედავ! ნუთუ ჩვენ ვერ გავამარჯვებთ?! ამ ბრძოლაში, რომელსაც მე შევუდგები, შენ იქნები ჩემი საჭურველთ-მტვირთველი! აქეთ, ჩემკენ, ჩემო ერთგულო საჭურველთ-მტვირთველო! სად არის ჩემი მახვილი? აბა, გამოდი, მშიმარა, სულ-მდაბალო მტერო! დავაკაოთ თავი—ფარსა, შეგაჩეოქოთ ლახვარი—ლახვარსა! წინ, წინ, ჩემო საჭურველთ-მტვირთველო! ვიბრძოლოთ თავისუფლებისა და უფლების მოსაპოვებლად! ამ ბრძოლაში დავსდგათ თავი ჩვენი!

ვილაც მუნდარიანი

— საცოდავი კაცი! მაგას ჯერ უბრალო ეშვიც კი არ შეეპარვია, რომ უკვე ორი კვირაა, ორი „შპიკი“ თავლუურს ადევნებს ყოველს მაგის ნაბიჯს. ჯერ არც კი იცის, რომ მაგისთვის უკვე კარი ხანია მომზადებულია კამერა მეტეხის ციხეში...

სურათი მეხამე

მეჯლისი რუსეთის მოხარკეთან.

— რა შემთხვევის გამო გაუმარიავს მეჯლისი რუსეთის მოხარკეს?

— იგი დღესასწაულობს პირველი „დუმის“ გახსნას და თავის მეგობრებთან ერთად ადღეგრძელებს ახალს წეობილებას.

— რა დადებულია, რა ბრწყინვალეა, რა მდიდრულია ყველაფერი რუსეთის მოხარკესან.

— რა გასაკვირველია მერე: უკანასკნელი გროშიც კი არ დაუზოგავს.

— დადის ხმის უმეტესობით აირჩიეს ეკა?

— რა ბრძანებაა—ერთხმად! და ან რა გასაკვირველია, რაც მაკან ხალხის საქმეს მსხვერპლი შესწირა, რაც ეგ ეწვალა და იტანჯა!

— რა ბედნიერია რუსეთის მოხარკე: იგი დარწმუნებულია, რომ ამიერიდან თვითნებობას ბოდო მოედო.

— რა ბედნიერია მაგისი ცოლიც: იმასა ჭკონია, წარსული სიმუდამოდ წავიდა და ადარ მოვა.

— ესენი აინ არიან რუსეთის მოხარკეს გარშემო? აგეთი სიმპატიური სახეებანი?

— მისი მეგობრებია. ეგენიც მასავით იბრძოდენ თავისუფლებისათვის.

— ესენი კი ვინდა არიან? აგეთი სიზიზღარი სახეებანი?

— მისი მტრებია. ეგენი თავგამოდებით იცავდნენ თვითნებობასა და ძალმომრეობას.

— რა გველაძუები არიან! როგორ ულაქუტებიან! როგორ მონებისავით დამცირებულად უჭირავთ თავი... რა რიგად მოუხრიათ ქედი რუსეთის მოხარკის წინაშე.

— მაგათი საქმე საუკუნოდ წაგებულია!

— რა დიდებული სანახობაა ეს თავისუფლებაა!

— რა რიგ გაბრწყინებულია ეველაფერი რუსეთის მოხარკისა.

— აბა ერთი მის მტრების შეხედეთ: როგორ კატერინიდან და კრინტს არ სძრავენ.

ვილაც მუნდარიანი.

— დღესასწაულობს და მხიარულობს რუსეთის მოხარკე. საბრალო,—მაგან ჯერ არ იცის, რომ „დუმის“ გარეკავენ, და რომ მაგისი მტრები კვლავ წინანდელზე უფრო მაღლა წამოჭეოფენ თავს!

სურათი მეოთხე.

უბედურება რუსეთის მოხარკისა.

— აი, ჩემი სათამაშოები. დმერთო ჩემო, რა სანახავია ჩემი საწყალი სათამაშოები. აი, კონსტიტუცია. ეს შენ რა მოგსვლია, ჩემო კონსტიტუციავ?.. ეს რადა არის? ნუ თუ ეს პიროვნების ხელუხლებლობაა? ესეც თქვენი პიროვნების ხელუხლებლობა: მთელი ნაძენძი კარად გამოცვივნულა, ბრუჟინები დამტვრეულა... დმერთო ჩემო, შენც რა საშინელი სანახავი ხარ, პრესია თავისუფლებავ!.. ჩემო თანამემტხედრევ, ჩემო საუკუნევ, გახსოვს შენ, რა ქორფა, რა ნორჩი, რა საუცხოო სანახავი იყო პრესია თავისუფლება?!

— მახსოვს, საუცხოო რამ იყო, მშვენიერობა!.. შენ ეგ ეველა სხვა სათამაშოებზე უფრო კეთვარდა. მთელი საათობით შეგვურებდი და სტკებოდი მაგის ტქვრით...

ეხლა კი რას დამსგავსებია!

— მაგრამ მე მაინც ეველაზე უფრო კონსტიტუცია შეტოდება.

— ეგ რა არის ემანდ, კუთხეში, ჩემო საუკუნევ?

— ეს არის—ხულიგანობა.

— ეგ კი რადა არის, ემანდ რომ დახოხავს? რა არის, აგრე გულშემზარავად რომ დასისინებს?

— ეს—რევოლუციაა.

— ეგერა ბორნოგრაფიაც...

— ესეც შავი რაზმი...

— რა რიგ ჩამობნელებულა ჩვენი ერთ დროს ბრწყინვალე სახლი...

— გახსოვს, ამ სახლში რა დიდებული დღესასწაული ეთო გამართული? რა საუცხოო სანახაობა ეთო?!. სად არიან ჩემი მეგობრები?

— ისინი ძველურ შორს, შორს არიან...

— ჩემი მტრები კი სადა არიან?

— ამათ ოავი მაღლა წამოჭეფეს და დაგაშეს, დაგამარცხეს შენ...

— ვინა, მე? ოო, არა, მე კიდეე დაყამარცხეს მათ, მე გაგამარჯვებ!.. ჯერ კიდეე მოელია ჩემი ფარი, ჩემი დაშნა ჯერ კიდეეა სიმრეა, ჩემი ლახვარი ჯერ კიდეე მამარია, ჩემი მახვილი ჯერ როდი დახლუნგებულა... ჯერ კიდეე ჩემოანაა ჩემი ერთგული ასტურეველი-მტეერეველი —შენა, ჩემო სუეკუნეე!..ეჰეი, ოქვენ,—შენო, ბნელო ძალანო! მე ოქვენ ბრძოლად გიხმობთ,—გამოდით სიბრძოლეველად! რა, ვითომ გაგექცეთ და დაეშალეთ?— არსოდეს! ეშკარად შეებენეთ ერთმანეთს, ბატონურ ბრძოლაში შეეიტანეთ... ააა, ოქვენ ამას ამჯობინებთ, რომ მიეპაროთ და მახვილი ჩასცეთ უკანიდან ზურგში, განა? გეშინიანთ სინათლისა, განა? გაურბიხართ, განა, ბატონურ ბრძოლის?.. მახვილს ოქვენ სიტრეესა და ტიალის წამებას ამჯობინებთ, განა?! მე ოქვენ მეზიზღებით, მე ოქვენ წეეგაკრულეს გეოფლეთ, შენო და ბნელნო ძალანო!! წეეულიმტ ეაანთ, ეაანთ წეეულიმტ!..

ვილაც მუნდირიანი.

— სატოდეი ადამიანი! მაგის შუბლით უნდა კეედი გაანგრიოს, და ამის კი ვერ ამჩნეეს, რომ მისი დღეები უკვე დათვლილია. ძველური წეედიადი, რომელიც მეს გარს შემოერტეა, მაგარია ბორეული, რომელიც მეს ჭბორკეეს... ეერ გაჭფენტეს ეგ ამ წეედიადსა, ვერ დაამსხვრეეს ეგ ამ ბორეულსა... დაბრმაეებული,—მაგან არცაკი იცის, რომ მეორე ქალაქში, ეხლახან გამოსულს ფურცელში, უკვე დაბეჭდილია ცნობა შესახებ მაგის მოკელისა და უკვე მოთავსებულია მაგისი ნეკროლოგი!..

სურათი მეხუთე

სასაფლაო.

— ეთ და ცხოვრობდა რუსეთის მოხარკე, და მოკვდა, როგორც ეკვდა სხვა.

— კადასახლების დროს შეეკარა უგურნებელი სენი, რომელმაც ბოლო მოუთ და საფლაესენ გაასტუმრა.

— მან ერთი წიგნი დასტოვა...

— დიდი ხანია იგი წაიღეს, კანფისკატია ეკეეს.

— რატომ აქ არ არის მისი ტოლი?

— ამას აქ ცხოვრების ნება რადა აქვს.

— მისი ვაჟიშვილი სადაა?

— შეცდომით დაანატომრეს და ეხლა მეტეხის ციხეში ზის...

ვილაც მუნდირიანი.

— დაიშალენით, ბატონებო! გთხოვთ დაიშალნეთ! არ შეიძლება არაეთარი „რეჩი“ რუსეთის მოხარკის საფლავზე. აქ სიტეეეის წარმოთქმა აკრძალულია!

დ. —ში.

იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

შემდეგი გამოცემანი:

1) ,,ეშმაკის მათრახი'' 1908 წლისა. (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში—2 მანეთი; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება—50 კ.

2) ,,მათრახ სალამურ'' 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი – იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) ,,ეშმაკის მათრახი'' 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)—1 მ ; გაგზავნით 1—20.

4) ,,ალმანახები'' 1909 წელში გამოცემული: ,,აკაკი', ,,ეშმაკი'', ,,ჯოჯოხეთი'', ,,ეშმაკის მათრახი'' და ,,ტარტაროზი''. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

იესო ქრისტე ავადმყოფთან.

«სალამურის» რედაქცია აცნობებს მკითხველებს, რომ სააღდგომო ნომერი ვერ გამოდის ისეთი შინაარსითა და წესით როგორიც უნდა გამოსულიყო, რადგან ხელმძღვანელი პ. ირეთელი დააპატიმრეს და მასთან ერთად—დამზადებული აღდგომის მასალები.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.